



საკულიბიო, საგეგნიერო და სალიბერატურო ნახატობიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს  
 № 32 აგვისტო 2 1898 წ. № 32

შინაარსი: თხზულებანი მამია გურიელისა (შემდეგი) ივ. გომარათელისა. — სხვა-და-სხვა ამბავი. — „კვალის“ კორესპონდენციები. — წერილები შეიცვარიდან და თოფურძისა. — ლექსი კ. გოგოლაძისა. — მგზავრის უენიშენები ფ. პატრიშვილისა. — ეს ძველი ფულია (მოთხრობა) სოფლის კაცისა.

რედაქციის ადრესი: არცილოერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც აქამდის რედაქცია იმყოფებოდა.


თხზულებანი მამია გურიელისა. \*)


(შემდეგი)

მამია მოცილდა შინაურობას 53 წელს და ჩამოვიდა თფილისში. თფილისის საზოგადოება ამ დროს იღვიძებდა, ქართული თეატრის საძირკველი შენდებოდა, მწერლობა იზადებოდა, გლეხობის განთავისუფლების დრო ახლოვდებოდა, საზოგადოთ ჩვენ ცხოვრებას ახალი მოძრაობა ეტყობოდა. — მამიამ „გულში ღრმად ჩაიჭდია სამშობლო საქმეთა სიყვარული“ თფილისში ყოფნის დროს, ამბობს მისი ბიოგრაფი. ეს რომ მართალი იყოს, როცა მამია მოშორდა „დარბაზის ერს“ და თფილისის საზოგადოება, ახალი მოძრაობის საუკეთესო წარმომადგენლები გაიცნო, უსათუოთ შეადარებდა ერთმანეთს ამ საზოგადოების და იმ წრის ცხოვრება-მისწრაფებას, რომლის გავლენას ქვეშაც თითონ აღიზარდა; უკანასკნელისადმი ზიზღი თუ არა, სიბრალული მაინც დაებადებოდა, ჩაებმოდა ამ ახალ საზოგადოებაში და მოქმედებას

დაიწყებდა სამშობლოს საკეთილდღეოთ, რომლის საქმეთა სიყვარული თურმე, გულში ღრმად ჩაიჭდია“. მამიას კი ეს საზოგადოება თითქო არც კი შეუმჩნევეა, არაერთი ყურადღება არ მიუქცევეა. მალე სამსახურში შევიდა და იქ მუდამ ოხრავდა და იგონებდა თავის დროს-ტარებას. მოიგონეთ ცამეტი წლის ლერმონტოვი, რომელსაც ძულს და ეზიზღება ის საზოგადოება, რომელსაც მას გარს არტყია. რუსეთის გამოჩენილ პოეტს ამ საზოგადოებამ ღრმად კვალი დააჩინა, მარა მას ყოველთვის ძულდა ეს საზოგადოება, ფუქსავეტი, გახრწნილი, უზნეო და, თუ მისგან ბევრი რამ გლახა გამოიღო, ამისათვის სრულიათაც არ ემადლიერება. მაშინ, როცა ლერმონტოვს წყურია მოშორდეს ამ საზოგადოებას, მამიას სული მიუდის, როდის იქნება ჩემი შინაური წრე ვინილო და ძველი დროს-ტარება გავისხენოვო. იმ ცხოვრების გარეშე მას სიცოცხლე აღარ შეუძლია, თუ მოტყუებით, თუ მოხერხებით ხშირ-ხშირ „ოტპუსკებს“ იღებდა და მიეშურებოდა გურიის საუკეთესო არისტოკრატიისაკენ, მის თვალ-წინ მუდამ აბრლილივით იხატებინა: მალთაყვა, იქაური დროს-ტარება, შველი, ირმები, მიმინოები, ხუმრობა, სი-

ის. „კვალი“ № 31.





ცილი, თამაში და მხიარულება. „დაფიქრებული ამა-  
 ებზე არა ერთხელ ამოვიხსნებ ხოლმე მწარეთ, გარ-  
 ნა ის ოხერა ბევრათ უტკბესია ზოგიერთ ძალით გა-  
 მოძახებულ სიცილზე“. აი მამიას ნამდვილი სიტყვე-  
 ბი. ამას შემდეგ სრული უფლება გვაქვს, ვიფიქროთ,  
 რომ პოეტს მემკვიდრეობით გადმოცემული ჰქონდა  
 ყველა ის თვისება და მიდრეკილება, რომლებიც შე-  
 მდეგ „ღარბაზის ერის“ გავლენამ გაუძლიერა და  
 ურიგო აღზრდამ განუმტკიცა. მამია სისხლით, სუ-  
 ლით და გულით ნამდვილი შვილი იყო იმ არის-  
 ტოკრატიული წრისა, რომლის ზეგავლენის ქვეშ ის  
 ნაწილად და შემდეგაც იმყოფებოდა. სიკვდილამ-  
 დე არაფერი არ უზიდავდა მას ისე, როგორც ამ სა-  
 ზოგადობაში ტრიალი; გაატარა თავისი სიყმაწვი-  
 ლე ამ წრეში, რომლის ცხოვრებაც ფუქსავატობის  
 მეტს არას წარმოადგენდა. ჯან-ღონით და სიცოც-  
 ხლით აღესიღმა ახალ-კაზნად იხილა თფილისის სა-  
 ზოგადობა, რომელსაც ის იყო თვალეზი ოდნავ აე-  
 ხილა და ადამიანურ ცხოვრებას ეპირებოდა, და მისი  
 ხორცშესხმული პატრიოტიზმი, რომელსაც ძილში  
 და ფიზიკალურ მხოლოდ სამშობლო აგონდება, მაინც  
 იმ ფუტკ წრისაკენ მისწრაფის. იმ დროს, როცა  
 თფილისის საზოგადოება შევლას ითხოვდა, როცა  
 მისთვის ყოველი ჯან-ღონით საესე ყმაწვილი დაუ-  
 ფასებელი იყო, მამიამ თურმე შეიგნო ამ საზოგა-  
 დობის სურვილი და საქმიანობა, „სამშობლოს საქ-  
 მეთა სიყვარული გულში ღრმად ჩაიჭრია“, გადგა  
 განზე, ლოთობა-ქეიფზე ოხრავდა და თავის „კახაბერს  
 სხვა კაცს“ იგონებდა. სწორე მოგახსენოთ ეს ვერა-  
 ფერი სამშობლოს საქმეთა სიყვარულია!

ამგვართ თფილისის საზოგადოებამ მამიაზე ეე-  
 რავითარი გავლენა ვერ იქონია, მისი შეხედულობა  
 ცხოვრებაზე ვერ შეცვალა, ცხოვრების ახალი მოთ-  
 ხონილება ვერ დაანახნა, ვერ შეაგნებია. ამის მიზე-  
 ზი ცუდი აღზრდის და გავლენის გარდა, მამიას წლო-  
 ვანებაც იყო; თერამეტ-ცხრამეტი წლის ყმაწვილს  
 მაინც და-მაინც დიდ გამჭირაბობას და ხასიათის სი-  
 მტკიცეს ვერ მოეთხოვთ. მამია შევიდა სამხედრო  
 სამსახურში და ბევრ ლაშქრობაში მიიღო მონაწი-  
 ლეობა. სამხედრო წრემ არამც თუ ვერ ამო-  
 შალა მასში წინანდელი გავლენა, კიდევ უფ-  
 რო დაუმორჩილა პოეტი ამ გავლენას; შინ შეძენი  
 ლი რწმენა და შეხედულობა აქ უფრო განუმტკიც-  
 და, ძვალ-რბილში გაუჯდა და ქეშმარატ მცნებათ გა-  
 დაექცა. მესამოცე წლებში მამია რამდენსამე ხანს  
 თავისუფალი იყო; შეეძლო საზოგადო ასპარეზზე გა-  
 მოსულ იყო, მარა სამუხაროთ არც ერთ საზოგადო  
 საქმეში მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია  
 და არაფერი გაუკეთებია. აქვე, რამდენათაც შემედ-

ლო, უნდა აღმნიშნა ჩენი ცხოვრების ტიპური  
 მხარეები მესამოცე წლებში, მარა, რადგანაც ამ ცხო-  
 ვრების მიმდინარეობაში მამიას მონაწილეობა არ მი-  
 უღია, ეს ცხოვრება მას არ იზიდავდა და გავლენაც  
 მანე ვერ იქონია, ამიტომ მაშინდელი საზოგადოებ-  
 რიე ცხოვრების უმთავრესი მხარეების აღწესება უფ-  
 რო საფუძვლიანათ მიმაჩნია შემდეგ, როცა მამიას  
 პატრიოტულ „ტემაზე“ მექნება მსჯელობა.

როგორც დავინახეთ, მემკვიდრეობით მამიას  
 ჰქონდა მიდრეკილება ამაპარტანობა-ბრძანებლობისა-  
 კენ. უხვირო აღზრდამ და გავლენამ ამ გვარი თიე-  
 სებანი განუძლიერა. სასახლის არისტოკრატიამ მას  
 შეაყვარა ფუქსავატი ცხოვრება, თავისუფლება, მა-  
 მულის წარსული და ჩაუნერგა ის რწმენა და შეხე-  
 დულობა, რომლებიც მამიას მთელ თავის თხზულებ-  
 ბაში გაჰყავს. თუ მხედველობაში მივიღებთ ამათ გა-  
 რდა იმ გარემოებას, რომ მამიას პოეტური ფანტა-  
 ზია სუსტი აქვს და ბაირონისა და ლერმონტოვის  
 წაბაძეა უყვარს, მამიას პოეზია და მისი მოტივები  
 ჩენთვის დაახლოებით ახსნილი იქნება, და თამამათ  
 ვიტყვი რომ ამ გვარი ფაქტორების ძალით მამია  
 სწორეთ ისეთა პოეტი უნდა გამოსულიყო, როგო-  
 რიც დღეს არის.

მამიას ორიგინალურ ნაწარმოებში უმეტესი ნა-  
 წილი წვრილი ლექსებს უჭირავს. ერთ ნაწილს პოე-  
 ტი უძღვნის ნაცნობებს და ნათესაებს, მეორე ნა-  
 წილი სხვა-და-სხვა საგანზე არის დაწერილი. გარდა  
 რამდენსამე ლექსისა მათი წაკითხვით თქვენ სულს  
 და გულს არაფერი ეძლევა, რადგანაც უმეტესის დე-  
 და-აზრი სუსტია, უმნიშვნელო. ზოგიერთი ლექსი  
 თქვენ გონებაში სრულ შთაბეჭდილებას ვერ ტო-  
 ვებს, რადგანაც შიგ რამდენსამე აზრია არეულ-და-  
 რეული: პოეტმა თუ პატარა ლექსში რამდენსამე აზ-  
 რი გაატარა და ზოგს თავი წაგლიჯა, ზოგს ბოლო—  
 რა უნდა გამოიტანოს იქიდან მკითხველმა? მაინც  
 უმთავრესი საგანი ამ წვრილი ლექსებისა არის ქალი,  
 მოტივი-სვედა. საქიროა დავინახოთ, როგორ უყუ-  
 რებს მამია ქალს და რა სარჩული უდევს მის სიყვა-  
 რულს ამ სქესისადმი? პოეტი არჩევს ქალში სული-  
 ვრ და ფიზიკურ მხარეს. როგორც გონებრივ და ზნე-  
 ობრივ არსებას, ქალს ის ძალიან დაბლა აყენებს;  
 აღიარებს, რომ მას ზეცით უხვათ ბოძებული აქვს  
 „ღვთაებრივი ძვირფასა ნიჭები“, მარა ამ ნიჭს ის ვერ  
 ცნობს, არ შეუძლია და არც უნდა მით ისარგებ-  
 ლოს. როგორც ჩიტი, ისიც არხეინათ სუნთქავს,  
 ფრინავს, ხან ერთ ყვავილს დაქიკვიკებს, ხან მეო-  
 რეს, ყოველისფრით სარგებლობს, დარღი არაფრისა  
 აქვს, მხოლოდ თავის სურვილებს მასდევს დაუღალა-  
 ვათ; ამ სურვილების ერთათ-ერთი შინაარსი ტრფო-

ბა. მას არ ესმის „მოძმის ტანჯვა, სამშობლოს გასაჭირი, წინაპრების თავდადება“, ის არ არის იმ გვარ არსებათ გაჩენილი, რომ

მადლს სულის განჩისსება,

მისი გულის ზღვებრივ გრგვინვა

მის სმენას შეეხოს; ყოველივე, რაც ტრფობას შეეხება, მის „მოსაზრების გარეთ რჩება“. მამიას არ რწამს „კეკლუტ ქალების მონღობა, განწირულება, დიატა სირცხვილ-ნამუსი“. მისი მოწიფული ქალი მხიარულათ გაიძახის:

საბაღაა ყველა ქმრები,

თუ ჩვენ ერთგულთ დაგვსხა.

პოეტის თვალში ქალები ხარბები, სიმდიდრის მონები და წარმოადგინეთ,—კაცობრიობის დამცემნიც კი არიან. მიუხედავთ იმისა, რომ ქალების სულიერი მხარე ამდენათ დაცემული ყოფილან, მამიას ისინი არც ეზიზღება, არც ძულს, არც ებრალებს; მათი სულიერი დაცემა მას გულს არ უმღერებს; პირ-იქით „თქვენ მეტო ყოვლის ქებისაო“-ო, ეუბნება მათ პოეტი და გამოუტყდება:

მეფე რომ ვიყო, ვუფლებდე

სრულიად ჩისა ქვეშეთსა,

უსაზღვრო ნებით ვსუფიკდე,

გიბატონებდი შენ ერთსა.

დმერთი რომ ვიყო, ერთ წამზედ

სრულ ვყოფდი ყოველ შენს ნებას.

შენ გაუფლებდი ზეცაზედ

და თვით გიწებდა ვადრებას.

განა ამდენათ დაცემული არსება გაღმერთებისა და ვედრების ღირსიაო, იძახის გულ მოსული მკითხველი. დიანაც არისო, გიპასუხებთ პოეტი: რადგანაც ქალი ლამაზია, თავისი სიშვენიერით ყველას ხიბლავს, ყველას გულს უტოკებს, სევტ-სწოველებას იძლევა, მხატვრის, მეჩანგის ნიჭის აღმაფრთოვანებელიაო. მკითხველი მაინც თავისას არ იშლის: მჯერა, რომ სილამაზეც ღირსებაა, მარა ისეთი დიადი კი არა, რომ სულიერი სიმახინჯე სრულიად გამოიციდოსო. თურმე მკითხველი შემცდარია, რადგანაც პოეტის აზრით ქალი მხოლოდ ენებისათვის, სქესობრივი ინსტიქტის დასაკმაყოფილებლათ არის შექნილი; მისი დანიშნულება მხოლოდ ეს არის და არა სულიერი ღირსებების გამოჩენა. ქალის სულიერი სიმახინჯე მხედველობაში არ უნდა მივიღოთო, გვეუბნება მამია, რადგანაც მისი დანიშნულება ენებათა დასაკმაყოფილებლათ მხოლოდ: ის ამ დანიშნულებას კარგათ ასრულებს, „ტრფიალთა ენებით აღნობსო“. ყოველი ადამიანი, რომელიც სინიღისიერათ ასრულებს თავის

უზენაეს მოწოდებს, დიდების ღირსია, ამიტომაც აღმერთებს ქალს მამია და

თავის ლამაზი მტკრისა

სამაზადისოთ ერთგული აჩის.

სილამაზის გარდა ქალში სხვას არას ეძებს პოეტი; უყვარს ის და მისი სიყვარულიც წყურია, მხოლოდ იმიტომ რომ ის ლამაზია. ნეტარებით იგონებს, რაც მათი „ეშხით სიამოვნება გამოუცდია“, „კეკლუტო ტრფობაში სურვილის მოკვლას“ არ გაუბრბის და ჩვენც გვირჩევს, ნურც თქვენ გაექცეითო. ამგვარათ მამიას სიყვარულიც ქალებისადმი მხოლოდ თიზიკურ მხარეზეა აგებული და მამასადამე ეროტიულია, პირუტყეული. რამდენათ მართალია მამიას აზრი და შეხედულობა ქალის სულიერი თვისებისა და მისი დანიშნულების შესახებ, რამდენათ სიმპატიურია მისი სიყვარული ამ სქესისადმი, ეს ყოველმა მკითხველმა თითონ განსაჯოს.

როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, მამიას ლექსების უმთავრესი კილო სხვათა შორის სევედაც არის. მამია ხშირათ ოხრავს, მისი გული მწუხარებით და სევდით აღესილა, მარა მისი ამ გვარი ლექსები თქვენ გულში შესამჩნევ თანაგრძნობას ვერ გამოიწვევს; მათ აკლიათ რაღაც, რაც სევედაზე აგებულ პოეზიის სულსა და გულს შეადგენს. პოეტის სევედა თითქო ბუნებრივი არ არის, ან ძალდატანებულია, ან გაზვიადებული და ამიტომ თქვენ გულს ვერა ხედება და პოეტის ტანჯვას ვერ გაგრძნობებთ. ხან-ღან მამიას სულის კვეთება თითქო უკანასკნელ საზღვარს აღწევს, პოეტო სიკედილსაც კი ნატრობს, მარა ამ გვარი წუთებო მას მხოლოდ მგზავრულათ თუ ესტუმრებან, ისიც ძალიან ძვირათ. ასეთი სულის კვეთება არ შეადგენს მის ორგანიულ თვისებას, როგორც, მაგალითათ, ეხედავთ ბარათაშვალში, რომლის ყოველი ლექსი სევედასა და მწუხარების კანვაზეა მოქარგული. მამიას შინაგანი არსება პესიმისტურათ სრულიადაც არ ყოფილა პოპარტული. ის ტყებო გაფურჩქნული ვარდის ხალვით და ამავე დროს კარგათ იცის, რომ ეს ვარდი მალე დაქცნება, მოისპობა; შეხარის ლამაზ ქალს, თუმცა შევნიერათ იცის, რომ ისიც დაბერდება, და მის ალაკს სხეები დაქცრენ; ამ გვარი მოფიქრება მის მხიარულებას სევედის ბურუსით უბრალოთაც ვერა ჩრდილავს. პუშკინსაც კი, რომელიც პესიმისტი სრულიად არ ყოფილა, ასეთი ფიქრები გუჟს სევედით უესებენ; თუმცა მისი სევედა გულ-გატეხილია, ყოველ ისეფრზე იმედ დაკარგული ადამიანის გულიდან ამონაკენესა არ არის და მასში ნათლათ გამოსჭვივს იმედი უკეთესი მომავლისა, მარა, რაც უნდა იყოს, სევედა სევედათვე რჩება. ბუნებით მამია მელანხოლიკი არ ყოფილა, რომ



ყოველ გვარ მოვლენაზე სევდის პრიზმით ეცქირა. იმ საზოგადოების ცხოვრებას, რომელშიც პოეტო ტრიალებდა, ის ძალიან არ უყვებოდა, რომ შიგ ჩამე სევდის გამომწვევი დაენახა. თუ საქართველო დაცემული იყო პოეტის აზრით, ეს მოფიქრება მხოლოდ წარსულის დიდებასა და აწმყოს გინებას იწვევდა მასში და არა იმ სევდას, რომელიც გულიდან წყნარათ გამოდის, მთელ ტანს დაუფლის და ნახათ ღრღნას დაუწყებს. ის არ იყო იმდენათ განათლებული კოსმოპოლიტი, რომ მთელი კაცობრიობის ინტერესები და ცხოვრების მსვლელობა გათვალისწინებული ჰქონოდა და ამ ცხოვრების ბნელ მხარეებს მისი გული დაეწყლულებოდა. მის სევდას პირად ნიადავი აქვს. პოეტი მეტის-მეტე ამპარტავანი და თავმოყვარეა. უნდა, რომ მისი ცხოვრების გზა სულ ვარდით იყოს მოფენილი; უცებ ეწინა ჩამე, დაიწყო გოდება და რაშიც წინეთ სიტუბოებას ჰპოებდა, ახლა ძირმწარეთ მიაჩნია. გაიარა ერთმა წამმა, პოეტი დამშვიდდა და ისევ მხიარულათ მღერის: ხომ ეხედაეთ, რომ ყოველივე წარმავალია, ექვიფოთ, ვიმხიარულოთ, დეტებეთ ცხოვრებით, ამოწოვოთ მას, რის ამოწოვაც კი შეიძლება, აქ ეცხონდეთ და იქ ცხონებას თავი დავანებოთო. ასეთი ელვასავით უცებ აფრთქილებული და უცებვე ჩამქრალი სევდა ჩვენ გულს ვერ ააღვლებს და შიგ თანაგრძობას ვერ დაბადებს. გარყენილ კაცებს ხშირათ თავმოკლავთ მწუხარებით, როცა ყოველ გვარი წყარო დაშრობიათ თავის დასატკობათ, მარა თანაგრძობას კი ვერაფერს გულში ვერ დაბადებენ ისინი. მართალია, უმეტეს ნაწილათ, სევდა-პესიმიზმის მიზეზი პირადი უკმაყოფილებაა, კერძო უბედურება, მარა ამ გვარი ადამიანი მხოლოდ მაშინ აატოკებს ჩვენ გულს და გადასცემს მას თავის მწუხარებას, თუ ეს უბედურება საგრძობელია მართლა და მის უკმაყოფილებასაც ღირსეული სარჩული უდევს. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ წინ იმყოფება ადამიანი, რომელიც ჩაგრულთა და დაერდომილთა დაფარვისათვის სასიკვდილოთ დაქრეს და ავაზაკი, რომელმაც სახლი გატარცვა, შიგ მყოფი ხალხი დახოცა, მარა მოასწრეს, გადმოხტა ფანჯრიდან და დაიმტვრა; როგორც უნდა გიმტკიცებდესთ სალი გონება, გაჭირებაში ყველა ერთნაირათ უნდა გებრალდებოდესო, გრძობისათვის ამ გვარი მტკიცება სრულიად უმნიშვნელო იქნება: პირველი უბრალო თანაგრძობას კი არა, ცრემლებსაც კი გამოიწვევს თქვენ თვალეზე, მეორეს შესახებ კი შეიძლება ასეც თქვათ: ახია შენზეო, თორემ სიბრალოლს ვინდა ჩივის. მამიას სევდაც გამოიწვევდა ჩვენ თანაგრძობას, რომ ამ სევდის გამომწვევი გარემოებანი ღირსეული იყვენ. მა-

რა უმნიშვნელო მიზეზები მას უცებ გულს მწუხარებით უფსებენ, მეორე წამს ისევ მხიარულ კილოზე მღერის, როგორც მისი რაშიდი:

ბრძოლას, ტრფიას, ღოთობას, ღხენას  
გადაუსადე საკმაოდ ვადი, -ო

და აქ რომ თანაფერძნოთ ყოველად შეუძლებელია. ამიტომ მამიას სულის ობლობას სულის ობლობა არ ეთქმის; მისი მიზეზია სრულიად უბრალო გარემოებანი, ბაირონისა და ლერმონტოვის მიბაძვა და კიდევ ის გარემოება, რომ ზოგიერთ მწერალს, ბრანდისის სიტყვით, საშინლათ უყვარს, მკითხველს ისე კი არ გააცნოს თავი, როგორც ნამდვილათ არის, არამედ ისე, როგორც სურს რომ იყოს: ან უფრო მგრძობარეთა და მეღან ხოლიკათ, ძველებური მოდის მიხედვით, ან უფრო გამოცდილ, გულქვა და მიუკარებელ პირათ, როგორც ახლა იქცევიან. მამია კი როგორც ყველაფერში, ისე აქაც ძველი მოდის მიმეყვარა.


ივ. გამბატყაძე.

(შემდეგი იქნება)

სხვა-და-სხვა ამბავი.

ყველაფერი დღეს ჩვენში მრეწველობისკენ მიისწრაფის. მარა იმავე დროს იმდენათ ვერ განვითარებულა ის, რომ ყველა თავისი სიკეთე და სიკუდიე ჩვენთვის მოეჭანა. იმედი კი დიდია. კაპიტალი იყოს სადმე და განა ის სიმდიდრეს დატოვებს ხელჩაუკიდებლათ? აი გავხეთები რას წერენ: ამ ბოლო დროს უმეტესათ ამიერ კავკასიაში დაწყეს მეტათ გულმოდგინეთ სხვადასხვა მადნეულობის ძებნა. სხვათა შორის მიზნათ აქეთ რკინის შემუშავების საქმე მოაწყონ, უნდა დაარსონ რამდენიმე ქარხანა. მათში საყურადღებოა რუს კავკასიის მადნის საზოგადოება, რომლის ძირითადი თანხა არის 11,250,000 მანეთი. გარდა ამისა ბელგიის აქციონერულ საზოგადოებას, რომელსაც სახელათ ერქმევა ანონიმური საზოგადოება, ნება მიუღია იმოქმედოს, რათა ამოაჩინოს ნავთი და აწარმოვოს სხვა-და-სხვა ლითონების შემუშავება გურიაში.

ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციას უცნია შესაძლებელათ ნება დართოს, რომ მოძებნონ ნავთი და მისი საქმეც აწარმოვონ ბათუმის, ართვინის და სუხუმის ოლქებში შემდეგმა პირებმა: გინცბურგმა, ინგლისელ ქვეშევრდომის ტვიდის წარმომადგენელმა ს. ი. პენიაკოვმა, და ბაქოელ ვაჭარმა ი. მ. დუელიმა.



„ახალ. მიმოხილვას“ ატყობინებენ ქუთაისიდან: ქუთაისის გუბერ. ადმინისტრაციამ აღძრა შუამდგომლობა მთავარ-მართებელთან, რომ გადასახლონ გუბერნიიდან ყველა ის პირები, ვისაც ბრალდება ცხენის ქურდობა და სხვა ცუდი საქმეები.

გაზ. „ცნობის ფურცელში“ თავს იმართლებს ჩიბათის სოფლის მასწავლებელი. რა საკვირველია, ჩვენ არაფერი უფლება გვაქვს ვისმეს ეუსაყვედუროთ, ამ და ამ საქმეს, რომელიც შენ პირდაპირ მოვალეობას აღემატება, რატომ არ აკეთებო, მარა ამავე დროს არ შეგვიძლია ერთი რამ არ შევნიშნო: მასწავლებელი მეტათ თავს იქებს, ორი წელიწადია რაც აქ მოვედი და „აბრეშუმეობა, თამაშთ შემიძლია ვთქვა, სხვა სოფელთან შედარებით ჩვენის შრომით და მეცადინეობით უმაღლეს წერტილამდე სდგასო“. (!) ეს კი თავიდან ბოლომდე მეტი თავის ქებაა. სწორეთ რომ მეტი. მართალია ამ ბოლო დროს გურიის აბრეშუმის მოყვანა ძრიელ გადიდა, მარა მეტათ საექვოა, რომ ამ საქმეში ჩიბათი სხვა სოფლებს ჯობდეს. ისიც არ გვეჯერა, თითქო დიდი რამ ესწავლოთ სოფლებს, იმ სოფლებს, რომელნიც, ვინ იცის, რა დროიდან მასდევნ ამ საქმეს. ეს კი აშკარაა, რომ სოფლის მასწავლებლები უნაყოფოთ დროს ჰკარგვენ, ხშირათ იმის მაგიერ, რომ ბავშვებს ასწავლონ, ბჟოლას „ახოტენებენ“ და თითონ ყაქს თავს ევლებიან. რაც უნდა იყოს, ერთი არ უნდა გვაფიწყებოდეს, სწავლის მოთხოვნილება სოფელში იმდენათ დიდია, სკოლის გარეშე დაჩინილთა რიცხვი იმდენათ ბევრია, რომ ერთ და ორს კი არა, არ ვიცი, რამდენ მასწავლებელს საქმე გამოუღვევლი ექნება. მაშ უმჯობესია იზრუნოთ და იზრუნოთ ხალხის და თავის განვითარებაზე. განა რა იქნება მაგ., ამაზე უკეთესი? თქვენ ვეგებრთელა სოფელში ვაჟები კიდევ სწავლობენ, ქალები ხომ ისე უსწავლელი რჩებიან? აი, თუ გული შეგტკივთ, დააარსეთ იმათთვის ან საღამოს, ან საკვირაო კურსები. ამით ხომ ქვეყანას დიდ სამსახურს გაუწევთ და ყაქს მაგიერ დედებს გაუზრდით საქართველოს.

მოგეხსენებათ, თ. ბარათაშვილიმა უჩივლა თფილისის სათავად-ახნაურო ბანკს: თ. ავალოვის ნამდვილი კანდიდატი ვიყავი და რადგან მე თ. ავალოვის შემდეგ მისი თანამდებობა არ ჩამბარდა, ვითხოვე კანონის ძალით ჩამბაროთ ადგილიც და ის თანხაც, რომელიც დავკარგე სათავად-ახნაურო ბანკის მართვლობის უკანონო განკარგულებითო. ოლქის სასამართლომ კანონიერათ სცნო თ. ბარათაშვილის საჩივარი. ახლა ბანკის ვექილს გადაუტანია საქმე თფი-


ლისის სამოსამართლო პალატაში. სააპელაციო საჩივარში ბანკის ვექილი ეხება ფორმალურ მხარეს და ამბობს: სასამართლოს კი არ უნდა გაერჩია საქმე, არამედ უნდა გარჩეულიყო ბანკის ადმინისტრაციულ დაწესებულებაში, ჯერ უნდა განეხილა ზედამხედველ კომიტეტს და აქედან ფინანსთა სამინისტროს კრედიტის კანცელარიასო.

ვარდის მოყვანა სასარგებლო საქმეა, რადგან მისგან ხდიან ძვირფას ზეთს. ამიერ კავკასიაში სკადეს აქა იქ ვარდის გაშენება და, როგორც პეტერბურგის ვაჭრები ამბობენ, ჩინებული შედეგი მოუტანია ამ ცდას.

მასწავლებლის საქმე ძრიელ ძნელია. ის უბრალო კალატოზი კი არ უნდა იყოს, რომელმაც მართო ის იცის, რომ ერთ აგურს მეორეს მიადებს და რა გამოვა აქედან, იმას წარმოადგენა აღარ შეუძლია. მასწავლებელი ნამდვილი არჩიტექტორი უნდა იყოს, რომლის თავში დახატულია მთელი სურათი მომავალი შენობისა. ამისთვის კი საჭიროა ცოდნა, განვითარება და საზოგადოებრივი გრძობა. ასეთ გრძობას ბადებს საერთო მოღვაწეობა, ერთ სულობა, კრება. არსებობს მასწავლებელთა სლავიანური კავშირი. ამ კავშირის მოწვევით ქ. ლეიბანში გაიმართება სლავიან მასწავლებელთა კრება. აქ მოწვეულ არიან პოლონელი, ჩინი კროატი და სხვა სლავიანთა თემის მასწავლებლები. უკვე 2,000 მეტს გამოუცხადებია მონაწილეობის სურვილი.

თფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორს განუცხადებია კასაციური პროტესტი ქუთაისელ პოლიციის მოხელე ახელედიანის გამართლებაზე. ახელედიანს ბრალდება ტყუილი მოწმობით სხვისათვის ყალბი ფულის კეთების დაბრალება.

ცხოვრებაში ბევრი რამ საცინელია, მარა ხშირათ სიცილს სევდა და ჯავრა თან ახლავს. იმედია, მუშტაიდს გაემგზავრებოდით საღამოთი, იმედია საიუნკერო მინდერისკენაც გაიხედავდით. იქ ბავშვები ხტუნავენ, ხტუნავენ დიდებიც. ვინ არიან ესენი? არ გახსოვთ, აქ რა ამბავი ასტეხნეს: ილუპება ბავშვები, უნდა დაეარსოთ ბავშვების მფარველი საზოგადოებაო. ეს საზოგადოება მართლა დაარსდა და ეს მხტუნავი მასწავლებლები სწორეთ ამ საზოგადოების წევრებია. მერე რაო? იკითხავთ. ის რომ ქვეყანაზე დახმარებაც და ყველაფერი რალაც უსწორო-მასწოროთაა განაწილებული: ერთს არც ტანთ აცვია, საქმელიც და ბინაც არა აქვს, მეორეს ყველაფერი ეს აქვს, და მათთვის



კიდევ სხვები ცდილობენ, არ მოაწყინონ რძე-ნაწყენი ხალხი და კარგათ გაართონ, რომ საქმელი ადვილათ შეირგოს. ტყუილი არ გეგონოთ! მართალია. თქვენც დარწმუნდებით, თუ ამ საიუნკრო მოედანზე მაპროწიალე ბავშვებს შეადარებთ იმ ბავშვებს, რომელნიც სხვა და სხვა ქარხნებში იხრჩობიან. ვინ ზრუნავს მათზე, ვინ შევლის მათ? აბა შეხედეთ მათ ჩაყვითლებულ, უდროვოთ დაღლილ დაქანცულ და დაღონებულ სახეს. სწორეთ ვერ წააკითხავთ ბევრ რამ სამხიარულოს ამ ქორეთათ დამკვანარ სულის სარკვეზე. და როგორ შეიძლება კარგი რამ წააკითხოთ, როცა ეს ექვსი-რვა წლის ბავში თამბაქოთი, გინდ გოგირდით გაუქვინთილ ჰაერთან ოთახში მოკუზული ატარებს შრომაში დღე და ღამე 16 — 18 საათამდის. არ გეგონოთ ამ შრომაში დიდი რამ საფასი ეძლეოდეს. ზოგი ერთ შაურს იღებს და ზოგი ბედნიერი ძლივ-ძლივობით დღიურათ აბაზს იშოვის; აი, ამას ჰქვია შიშლით წვალგბა: არც დრო, არც პური და არც გულ შემატყვიარი, დამცველი და მფარველი. ზოგი ამ ბავშთაგანი საკვირაო სკოლაში დადის. ხშირათ მასწავლებელი შენიშნავს, ბავშს, რომ მეტათ დაქანცულია, სახე მოდუნებია, თვალები გამოშტერებია. რა ამბავია, ვანო? ეკითხება — გუშინ შაბათი იყო და დილის ხუთ საათამდის მამუშავესო, გესმის პასუხი. აი ვინაა დაბადებიდანვე დაჩაგრული. საიუნკრო მოედანზე კი ბავშვების მფარველი საზოგადოება ხტის და ხტის. ნუ თუ ეს ცხოვრების ერთგვარი ირონია არ არის?

ყოველ მეკომუროს კარ-წინ შეგნიერი ბალია და თვით სოფელს გარშემო არტყია ეწინაბები. სოფლის თავს არის უზარმაზარი საკირე კლდე, სადაც დიდძალი მუშაობაა (სამწუხაროთ, ეს მადანი ჩარჩ სომეხის ხელშია) და ბევრი კირიც საღდება. სოფელს ჩამოუდის მდინარე „ფრონე“ არც, ის არის უსაქმურათ და მრავალ ჩამწკრივებულს წისქვილებს ამუშავებს. ამავე სოფელში არის ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი. აქავე არის ძველის-ძველი ციხე-სიმაკრეები და რამდენიმე ნანგრევი თლილი ქვის ეკლესიები. ალელეები ძალიან მხნე ხალხია და რაც ძალი და ღონე მოსდევთ, მუშაობენ დღე და ღამ. მკითხველი იფიქრებს: სიმდიდრითაც პირველი ადგილი უნდა ეჭიროსო, მარა ტყუილათ იფიქრებს. ჩვენდა სამწუხაროთ და სავალალოთ ალში დიდი სიღარიბეა. რამდენათ მეტი სიღარიბეა, იმდენათ ჩარჩებიც ბევრია. დაუდალავათ შრომაობენ და ცდილობენ, რაც კი შეუძლიათ, როგორმე დასცინცლონ გლენს საცხოვრებელი და თვით იგდონ ხელში. ალში მართლა რომ ძალიან გამრავლებულია ჩარჩები, მარა ამ აუარებელ ჩარჩთა შორის ურეგია ერთი რომელიც ბევრათ განირჩევა თავისი უდიერობით სხვა ჩარჩთაგან. ეს ჩარჩი პალტოიან-ცილნდრიან-სანდლებიანია. ხსენებულ ჩარჩს ბევრი გლენი ჰყავს პირქვე დამხობილი, ბევრი გლენისთვის ჩაუქვრია კერაზე ცეცხლი და გამოუხურავს კარები; მისი გულ-ქვაობა ყოველად წარმოუდგენელია ასაწერათ. არც ერთი გლენი არ არის ალში, რომ მისი ვექსილი და პირობა ჩარჩს არა ჰქონდეს, და რომელი გლენიც, სურვილისამებრ, არ გაუგონებს მატყუარას, სულ ტყავს აძრობს. ალელეებიც, რომ იციან მისი უდიერობა, ყალყზე დგანან, თვალეში მიჩერებთან და მზათ არიან მისი ბძანების შესასრულებლათ. ხსენებულ ჩარჩის მოქმედებას სხვათა შორის სამაგალითოთ მოგახსენებთ ორიოდეს, რომლებიც ამ ცოტა ხანში მოიქმედა. ერთში აქაურმა გლენმა ჩარჩისაგან ერთი საქმე აღო გასაკეთებლათ ოცდახუთ მანეთათ (თუმცა სხვა იმავე საქმეს არც ას მანეთათ აიღებდა). ეს საქმე იყო გასაკეთებელი მდინარე ფრონის პირზე, საქმე ორი თვის განმავლობაში უნდა დაესრულებია. გლენმა დაამზადა ყოველივე მასალა წყლის პირათ, დაიწყო მუშაობაც და კიდევ ჩააბარებდა ვადაზე, მარა ჩარჩმა სხვადასხვა მიზეზები მოუღვა და საქმე შეჩერდა; ამ ცდაში წყალიც მოდიდა, წყლის პირათ დამზადებული მასალა მდ. ფრონემ ჩანთქა. გლენი კი დარჩა ხელცარიელი. რასაკვირველია, ჩარჩს გაეხარდა, მიზეზი იპოვა საჩივრისა, რადგან ამასობაში ვადაც გავიდა; სულყველას თავი ანება ჩვენმა ჩარჩმა, ეძგერა მაში-

„კეკელიის“ კორესპონდენცია.

სოფ. ალი (ქართლი). ალი გორის მაზრის ერთი ლამაზი სოფელია. აქ ორასი კომლი მცხოვრებელია.

ნეე სასამართლოს და იმანაც გლენს მიუსაჯა ორა-  
სი მანეთის გარდახდევინება ჩარჩის სასარგებლოთ.  
ამდენი ფულის გადახდამ ძირს დასცა გლენი და გაა-  
ლატაკა. თუმცა ბევრს ეხვეწა გლენი, რაც მოგიცია  
ერთს ორათ მოგართმევ და დამჯერდიო, მარა სულ  
ამათ, ჩარჩის გაქვავებული გული ვერ შეარყია მის-  
მა ვედრებამ.

— ეს კიდევ არაფერი, ერთ აქაურ მომუშავე  
გლენს ასი მანეთის საქმე მისცა გასაკეთებლათ, რომ-  
მელიც სამის თვის განმავლობაში უნდა ჩაებარებინა.  
პირობა ჰქონდა ჩამორთმეული ოთხასი მანეთისა. ცუ-  
დი ამინდებისა და წვიმების გამო გლენმა საქმე ვერ  
ჩააბარა ვადაზე და სამი კვირა გადაუცდა ვადას;  
განარებულმა ჩარჩმა მაშინვე სასამართლოს მიმარ-  
თა, და იმანაც პირობის ძალით მიუსაჯა გლენს ოთ-  
ხასი მანეთის გარდახდევინება, ჩარჩის სასარგებლოთ.  
ჩარჩმა იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა: „მე  
ხომ მამაჩემმა ეკლესიის აშენება მიანდგოდა, მო-  
დი ამ ოსტატს ავაშენებებ, ეს ხომ ხელში  
მყავს მოგდებული და ერთი კაპიკაც არ დამეხარ-  
ჯებო. თან ხალხში პირნათლათ გამოვალ და სა-  
ხელიც გამივარდება, რომ საკუთრათ ეკლესიას ავაშე-  
ნებო!“ მართლაც ასე მოიქცა ეს უგულო ჩარჩი.  
დაიბარა საწყალი გლენი და უთხრა: „შენი ხელობა  
რადგანაც არის, ან ეგ ეკლესია უნდა ამიშენო, ან  
არა და ახლავე ეგ ოთხასი მანეთი მომეცი, თვრა  
უფრო მეტს ვადაგახდევინებ და დაგლუპავო.“ გლენი  
იძულებული გახდა დათანხმებოდა და დაადგა ეკ-  
ლესიის მუშაობას. თავისი ღონე და ქონება შიგ  
ჩააღია და ძლივს წლის თავზე დაასრულა. მარა ისე  
გალატაკდა, რომ აღარ შეუძლია ზამთარში ცეცხლი  
დაინთოს და თბილათ იყო. სანამ ეს ხსენებული  
კედლებს ააყვანდა და თაღს გადაადგამდა, მანამ ჩარჩ-  
მა კიდევ სხვა მოიგდო ხელში და ეს ეკლესია ჯა-  
რიმის ფულში კრამიტით გადაახურვინა, აგრეთვე სამ-  
კაულითაც. ასე მოათავა გაიძვერა ჩარჩმა ეკლესიის  
აშენება და დაიმშვიდა გული, რომ მამის ანდერძი შე-  
ასრულა... გარდა ამისა, მოგახსენებთ კიდევ ერთს  
ოინბაზობას ამ ჩვენი ცნობილი ჩარჩისას. ამას წინეთ,  
ერთ შეძლებულ გლენს მიაგალა ასი მანათი, იმ  
პირობით, რომ ამ ფულის საფასში გომის სად-  
გურზე შეშა ჩამოეტანა. გლენმაც დაიწყო ზი-  
დვა და რადგანაც ზამთარმა უსწრო და თოვლ-  
მა გზა შეუკრა, დააკლდა ერთი-ორი ურემი. ჩარჩს  
სიამოვნებით თვალები გაუბრწყინდა, რომ შეძლე-  
ბული კაცი ხელში მოიგდო, და ერთი ხუთათ ჩა-  
მორთმეული პირობის ძალით, უჩივლა საწყალ  
გლენს ივანეს და რაც საუკეთესო საქონელი ებადა,  
სულ ჩამოირეკა სამართლის ძალით და დაიბა თავის

გომურში, ეს შეძლებული გლენი ივანეც დაეცა  
ძირს და გაერია სხვა ღარიბ ხალხში!... ვინ მოსთ-  
ვლის ამ კუთხის ჩარჩების ოინბაზობას? მრავალზე  
მრავალია. აი, ასე ჩქარა ღარიბდება სოფელი და  
სიღარიბიდან ამოსვლაც აღარ შეუძლია. მუშაობენ  
საწყლები, ღამეს ტეხენ, წელებზე ფენს იღებენ, იქ-  
ნება ლუკმა პური ვიშოვოთ და შიმშილით არ გავწ-  
ყდეთო, მარა მათი ნაწევ-ნადაგი კი სხვას, ჩარჩს  
მიაქვს და თითონ კი რჩებიან ხელ ცარიელი.

ნუ თუ ასეთია ჩვენი ბედი: ღარიბი უნდა დღე  
ღამ შრომობდეს და შრომობდეს, ჩარჩი კი ამ შრო-  
მას ოინბაზობით ხელიდან გლეჯდეს, პატიოსნათ მშ-  
რომელი ლატაკდებოდეს, ოინბაზი კი ჯობეს ისქე-  
ლებდეს?!

კინკე.

სოფ. წუისი. რუისის საზოგადოება შედგება 7  
სოფლისაგან, წარსულ წელს ამ სოფლის ქირნახუ-  
ლი სეტყვამ მესამედობით დააზარალა, ხოლო ხეხი-  
ლი და „მილდიუ“-საგან დაავადებული ვენახები მი-  
წასთან გაასწორა. რაც სეტყვას და „მილდიუ“-ს გა-  
დარჩა, ის ცივმა ზამთარმა მოსპო: ვენახები აჩენეს,  
ბევრმა ფესვიანათ ამოჰყარა ვაზი და სახნავ მიწათ  
აქცია.

აქაური გლენ-კაცი უტყეობამ ხომ იქამდის მი-  
იყვანა, რომ მამა პაპის ნახარებ ხეხილს უწყალოთ  
ჩეხს და შეშა-ფიხნათ ხმარობს. რამდენისავე წლის  
წინათ ხეხილით დაბურული ვენახები ისე გაჰკაფეს,  
რომ მტერსაც კი აუტირდება გული. შინაური პი-  
რუტყვის მოშენებაზე ნურაფერს მკითხავთ! საძოვარი  
მინდვრები ცოტაა და საქონელი სადღა იქნება.

რა ქნან და რითი გაისტუმრონ ასე უზომოთ  
გალატაკებულმა რუისელებმა ის 5000 მანეთი ნედო-  
იმკა, რომელიც დღეს მათზე ირიცხება?!

გამარჯვებული მარტო მევენახეებია. მათთვის  
სწორეთ ხალხის ყოველი გაჭირება ნამდვილი დღე-  
სასწაულია.

ერთმა მევენახემ თავის მეზობელს კოდი (4 ფუ-  
თია) პური (უკეთ რომ ეთქვათ, ნაკმაზი) ოთხ მანეთათ  
მიჰყიდა; თითონ ამ ფულით კოდი ერთ მანეთათ დაი-  
კვეთა კალოზამდის (აპრილიდან ივლისის გასვლამ-  
დის). ამ გვართ ერთი კოდი პური 4 კოდათ გადი-  
ქცა, ხოლო ეს 4 კოდი პური ეთანასწორება 16 მა-  
ნეთს. აი, ფულის ტრიალი თუ გნებავთ, ამას ქვია.

აქაურების ცხოვრებაში ნათლათ იხატება უკა-  
ნასკენელი წლების თან-და-თანობით ნაკლები მოსაე-  
ლიანობა და მით თან-და-თანობითი მეტი გაჭირება.  
წრეყანდელ მოსაგალსაც ცხადათ ეტყობა, რომ იგი  
წარსულზე თუ ნაკლები არა, მეტი არ არის. მაშ



უ შ ი შ რ ო ბ ა .

მომავალში უფრო აღრე დაუდგება სოფელს გასაქი-  
რის დღე. ქართლელი.

სოფელი დღნარისა (ლეჩხუმის შაზრა). საიდან

უნდა დაიწყოს კაცმა ამ სოფლის უბედურებანი, სწო-  
რეთ არ ვიცი. განა სულ ერთი არ უარის, საიდანაც  
უნდა დაეიწყოს? მარა უქულობესი იქნება ამ ჩამოთე-  
ლას თავი დაეანებო და ისევე აღენიშნოს ის, რომ ჩვენ



გეკლია ორი დი-  
დი განძი: სწულა  
და განათლება. სა-  
წყლებს გადაფა-  
რებულ გვაქვს  
გაუნათლებლობის  
ზნელი ზეწარი, გა-  
ჭირებაში ვართ  
და არა კაცი ყუ-  
რადლებას არ გვა-  
ქცევს; იმისთანა  
კაცი არ გამოგვიჩ-  
ნდა, რომ ხალხს  
სწულა-განათლე-  
ბის რამ შეაგნებო-  
ს, და სამკითხვე-  
ლომ თქვენი ჭი-  
რი წაილოს, სას-  
წულებელი მაისც  
დაგვიარსოს. კარ-  
გი იქნებოდა წე-  
რა-კ-თხუს საზო-  
გადოების გამგე-  
ობას ჩვენი მხრი-  
საკენაც მოექცია  
ყურადლება ზე რა  
მე ეწამლა.

სოსიზატრეჟას—ნი.



ო ც ხ ე ბ ა.

წერილები შევიცარიდაწ.

II

ქ ა ნ ტ რ ა ნ ე ბ ი.

როგორც მთელი შევიცარიის ფედერაცია შედგება კანტონებიდან, ისე კანტონი წარმოადგენს რამდენსამე კომუნის ანუ თემური საზოგადოების ფე-

დერაციას. თემი არის შევიცარიის ჩესპუბლიკის საძირკველი. თემი წარმოადგენს სახელმწიფოს en petit; მის ჰყავს თავისი პოლიცია და სხვა მოხელეები. პირველი იცავს წესს თემში, თვალ-ყურს ადევნებს, რომ ვინმემ ძალადობა არ იხმაროს. მოხელეების მოვალეობას შეადგენს რიგიანათ დაჭერა საზოგადო შენობების, გზების, შადრეწების, სანათების, ზომის მიღება ცეცხლის წინააღმდეგ და სხ.

სკოლეზის რიგანათ დაქერა, დახმარება ღარიბების, როგორც ავთმყოფის ისე კარგათ მყოფისაც.

ამ მოვალეობათა ასასრულებლათ თემისთვის საჭიროა შესადგური ორგანიზაცია. ორგანიზაცია იმდენათ რთულია, რამდენათაც თემი ანუ საზოგადოება უფრო დიდია. პატარა თემში არის მხოლოდ გამგებანი და ანუ მუნიციპალური საბჭო. დიდ თემში არის ორი საბჭო: 1) კანონ მდებელი და 2) აღმასრულებელი. აგრეთვე თემი აირჩევს კომისიებს, რომელნიც განაგებენ სკოლებს, საავთმყოფოებს. ზოგიერთი დემოკრატიული სახელმწიფოები თემს აძლევს უფლებას გადაწყვიტოს ყველა დიდ მნიშვნელოვანი კითხვები თემის საერთო კრებაზე. საბჭოს გამგეობა ასეთ კრებას წარუდგენს გადასაწყვეტ კითხვებს და ყრილობის მსჯავრიც საბოლოო მსჯავრია.

თუმცა თემს აქვს მინიჭებული თვით-მმართველობა, მარა ზედამხედველობა ეკუთვნის კანტონის გამგეობას, რომელსაც შეუძლია დაუნიშნოს თემს მზრუნველი იმ შემთხვევაში, როდესაც ცხადთ დაინახავს, რომ თემს ვერ მიჰყავს თავის საქმეებზე რიგანათ. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება თემი იქნეს აღიარებული გაკოტრებულათ.

აი ამ თემებიდან შემდგარი კანტონები ბევრანირათ განიჩივიან ერთი მეორისაგან. ზოგიერთ კანტონში ვხვდებით თითქმის ნამდვილ დემოკრატიულ წეს-წყობილებას, მაგ. როგორც კანტ.: ური, უნტერვალდენი და სხვ. ამ კანტონებზე ქვემოთ გვექნება ბასი. ახლა კი მოკლეთ ავწერთ, რაში მდგომარეობს კანტონის თვითარსებობა. როგორც უკვე პირველ წერილში მოვიხსენიეთ შინაურ პოლიტიკაში, ყველა შინაგან საქმეების გადაწყვეტაში კანტონი სრულიად თავისუფალია. აგრეთვე კანტონს დაუკითხავთ ფედერაციისა, შეუძლია პირდაპირ დაიჭიროს საქმე სხვა კანტონებთან შესახებ კანონმდებლობისა და ადმინისტრაციისა, მარა კანტონი კალდებულია წარუდგინოს პირობა ფედერაციას განსახილავთ. თუ ფედერაციამ პირობაში დაინახა რამე საწინააღმდეგო კონფედერაციისა ანუ დამარღვევლი დანარჩენ კანტონთა უფლებებისა, აღუკრძალავს ასეთი პირობის სისრულეში მოყვანას. კონსტიტუციის ძალით (Art. 9, ib.) კანტონს აქვს უფლება პირდაპირ დაიჭიროს საქმე გარეშე სახელმწიფოებთან შესახებ საზოგადო ეკონომიისა და პოლიციისა.

კანტონს ჰყავს ცალკე პრეზიდენტი, აქვს საერთო საბჭო (le conseil général), დიდი საბჭო (le grand conseil), სახელმწიფო საბჭო (le conseil d'état) და სამსაჯულო.

საერთო საბჭო. როგორც მთელ შვეიცარიაში, აგრეთვე თითოეულ კანტონში უმაღლესი გამგეობა


ეკუთვნის ხალხს. ყველა სრულ წლოვან მოქალაქეს, რომელიც არაა დასჯილი და უფლება ჩამორთმეული, აქვს ხმა არჩევანებში და შეიძლება იქნეს არჩეული. აი ამ მოქალაქეთა კრება შეადგენს საერთო საბჭოს. ამ საბჭოს, როგორც კრება მთელი ერისა, შეუძლია შეცვალოს კანტონის კონსტიტუცია, გაუქმოს ძველი კანონი და დაადგინოს ახალი. ეს საბჭო მოქალაქეთა შორის ირჩევს კენჭით ორი წლის ვადით (ზოგიერთ კანტ. მაგ. ციურიხში — სამი წლით) სახელმწიფო საბჭოს წევრებს (ესენი უნდა იყვნენ არა ნაკლები 27 წლისა და არ უნდა ეჭიროთ სხვა ჯამაგრიანი ადგილი).

სასჯემწიფო საბჭო. სახელმწიფო საბჭო შედგება შეიდი წევრისაგან და წარმოადგენს აღმასრულებელ ორგანოს, მარა ის არაა მოკლებული არც ინიციატივის უფლებას. ამ საბჭოს შეუძლია თვით შეიმუშაოს კანონ-პროექტი, რომელსაც წარუდგენს დიდ საბჭოს და თუ ამ უკანასკნელმა იცნო სასარგებლოთ და გაათეთრა კენჭით, მაშინ სასჯემწიფო საბჭო, როგორც აღმასრულებელი დიდ საბჭოს გადაწყვეტილებისა, გამოაქვეყნებს კანონ-პროექტს. გაიმართება რეფერენდუმი და, თუ ერის უმრავლესობა დათანხმდა, კანონ-პროექტი დაკანონდება.

სახელმწიფო საბჭო თავის ნაწილში ნიშნავს მოხელეებს; ადვენებს თვალ-ყურს, რომ მათ რიგანათ შეასრულონ თავიანთი მოვალეობა; მის განკარგულების ქვეშა პოლიცია და სამხედრო ძალა; მისი მოვალეობაა კანტონში მშვიდობიანობის დაცვა. აგრეთვე ის ვალდებულია ყოველ წელს წარუდგინოს დიდ საბჭოს სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის ანგარიში. სახელმწიფო საბჭო პასუხს აგებს თავის მოქმედებისათვის.

ეს საბჭო იყოფა შეიდ დეპარტამენტათ. თითოეული დეპარტამენტის სათავეში დგას თითო წევრი საბჭოსი. აი ეს დეპარტამენტები: სამხედრო, საერო განათლებისა, ფინანსთა და ვაჭრობისა, საზოგადო გადასახადებისა (des contributions publiques); იუსტიციისა და პოლიციისა; შინაგანი საქმეებისა და საზოგადო სამუშაოთა (des travaux publiques).

სამსაჯულო. სხვა და სხვა კანტონებში სამსაჯულოს ორგანიზაცია და კანონ-დებულობა დიდთ განიჩივიან ერთმანეთ შორის და ამიტომ ჩვენ აქ არ შეგვიძლია საერთოთ დავახასიათოთ შვეიცარიის კანტონების სამსაჯულოები; ეს მოითხოვს ერთობ ბევრ ალაგს. აქ მოკლეთ აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: ყველა მსაჯულებს და უმთავრეს მოხელეებს სამსაჯულოსას ნიშნავს დიდი საბჭო ოთხი წლის ვადით. ყველა სისხლის სამართლის საქმეებში ნაფიცი მსაჯულები წყვეტენ კითხვას — დანაშაულია თუ არა



ბრალდებული. ნაფიც მსაჯულებს აირჩევს ისევე ხალხი.

მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ ერთ საინტერესო დაწესებულებას—წოდებულს—les Tribunaux de prud hommes—მედიატორეთა სამსაჯულო. მაგ. ქენევის კანტონში ეს სამსაჯულო ასამართლებს მუშებს და პატრონობს. სხვა და სხვა დარგი მრეწველობისა და ხელობისა დაყოფილი ათ ნაწილათ. თითოეული ჯგუფი აირჩევს კენჭის ყრით მედიატორეთა საბჭოს, რომელიც შედგება 15 მუშისაგან და 15 პატრონისაგან. თითოეული საბჭო იყოფა სამ ნაწილათ: საპელაციო ნაწილი, მორიგების კანტორა, მედიატორეთა სამსაჯულო და სამივე დაწესებულებაში ორივე მხრის წარმომადგენელნი თანასწორათ არიან განაწილებულნი და თანასწორი უფლება აქვთ.

დიდი საბჭო—წარმომადგენს კანონ-მდებელ უფლებას. კანტონი გაყოფილია სამ ნაწილათ (მაგ. ქენევა). სამივე ნაწილი ირჩევს კენჭით 100 დეპუტატს (ყოველ ათას მცხოვრებზე თითოს). თუ რომელსამე ნაწილში დანარჩენ მოქალაქეთა რიცხვი აღემატება 500, მაშინ იქ ეძლევა უფლება კიდევ ერთი დეპუტატის არჩევისა. დეპუტატთა შეიძლება იქნეს არჩეული არა ნაკლებ 25 წლისა. დიდი საბჭოს სხდომა გარდა ჩვეულებრივი დროისა შეიძლება მოხდეს, თუ ამას მოითხოვს ან სახელმწიფო საბჭო ან პრეზიდენტი დიდი საბჭოსი—30 წევრის თხოვნით.

დიდი საბჭო კანტონში ყველა დაწესებულებაზე მაღლა დგას. ყველა დეწესებულება მის კონტროლს და ზედამხედველობას ექვემდებარება. სახელმწიფო საბჭო ეალდებულია ყოველ წელიწადს მას წარუდგინოს ანგარიში. მხოლოდ დიდი საბჭო ნიშნავს და განსაზღვრავს გადასახადს, სახელმწიფო ხარჯს, სესხს, მხოლოდ მას შეუძლია სახელმწიფო ადგილების გაყიდვა. სახელმწიფო საბჭომ და კომისიებმა თავისი კანონ პროექტები უნდა წარუდგინონ დიდ საბჭოს და ამ უკანასკნელზეა დამოკიდებული მისი გამოქვეყნება.

ამ საბჭოზე მაღლა დგას მხოლოდ საერთო საბჭო, რომელიც შედგება მთელი ერისაგან. ეს უკანასკნელი ნამდვილი და ერთათ-ერთი უფროსია.

დ. თაფურბიქი.  
ქ. შენევა.



I.

ზანაფხულის ნატარი ძალით უცხოთ შემგულებს მთა, ტყე და კელი და მოსიბლუღნი მთ შკენიერობით ბუნებას ეტრფის, საჩობს ყოველი! მსოფლით ამ ჩემ გუეს, შსამით დაგესლიდს ალარ შორდება ნადკელი მწარე; იმას ვერ ატკობს, ტანჯვას ვერ უქრობს, კელარ ამშვიდებს ლამაზი აჩქე!..

მწვანე კორდზედა, ბუნქისა ძიწას, საუცხოოთა გაშლიდა ის, და ვით შატარძალს, მორცხვით და ნაწათ, კეკლეუტათ თავი ძიწს დაუსწია! დატყქერი იმას—მის შკენიერობამ

მსუეს ოდნავ მაინც დამიტკობს გული, მაგრამ ამათ, შკებას კელარ ვგრძნობ შსამ ძმარ ნადკელით გარემორტული.

ტურფა ველზედა — ტურფათ მკობილზე რე მარხუნხუნებს, სინუმეს ადკეკეს და მის კიდეზე გაშლილ ვეგვიდებს მარგალიტისა ნამებს აფრქეკეს! კდგეკარ მის კეკლეუტ, ტურფა ნაზინზე, უუეს ვუგდებ იმის ტელქათ ჩხრიალსა და მის ანკარა წყალსა ვუერთებ ტრემლებს თვალთაგან ჩამომდინარსა!..

იქავე, ახლო, ვარდისა ბუნქი ტურფა მიდამოს დაშკენება და გადაშლილი ლამაზ ვარდებით ძვირფას თაიგუეს დამსგავსება. ოჰ, თაიგულა! შენი სსენება მწვანე ფიქრებით მიმსკალავს გუეს, ძომარეობებს რა ძვირფას აჩსებას წინათ დამტკობუეს, აწ დაკარგულს!..

სადღაც ბუღბუღი უცხო ჭანგებით აკუნეს-აგოდებს, ატრემლებს ჩანგს; შორს, შორს გაისმის მისი სიმღერა — აქ ველს ადვიძებს, იქ წვდება მთას! მესმის მეც იგი, მესმის ტანჯულსა, მესმის... მაგრამ რა! სუეს ალარ მიტკობს, კელარ მინელებს დამწველს ტეტსლს— უფრო და უფრო ნადკელი მიბწრობს!..

II.

მზე ჩასვლას ღამობს. დასავლელს კიდე  
 ღამზაზმობს ისე, ვით ცეცხლის ალი;  
 აქ-იქ ვარსკვლავთ გუნდმა ნელ-ნელა  
 გამოიღვიძა, გააღო თვალი!..  
 ნელმა ნიაკმა წამოიქროლა,  
 ააშრიალა მინდორი, კელი  
 და არე-მარეს უხვათ მოჭებინა  
 ყვავილთა სუნი, რკბილ-საყინოსკული!  
 ღუკუნი გუმბათი მოწმენდილ ცისა  
 გადმოხუტვია მიწასა თავზე,  
 და, ობოლსავით, სულ მარტო-მარტო,  
 მტრულ ღრუბელი მის დასავლელზე  
 მოჩანს; ნიაკი მიაფრენს სადღაც,  
 ხან შეაჩერებს, ხან კვლავ გააქრავს,  
 ხან დაბლა მოჭყავს დედა-მიწისკენ,  
 ხან მაღლა-მაღლა ზეცისკენ ასწევს!  
 გუცქერ მე იმას ნადვლით პერობილი,  
 გუცქერ და მინდა სულ რომ გუც'ირო,  
 მანამ სანამდის მე ძაღმის ცქერა,  
 სანამ ჩაჭყლავს ზეცა უძირო!  
 ან და, სანამდის მკატრი ნიაკი  
 არ გააქროლებს და არ გაჭებტავს,  
 სანამ ძაღლი მთისა გადაღმა  
 არ გადაიტანს და არ დამალავს.  
 მე ჩემი ბედი მის ბედს ვაცხავს;  
 მეც უმეგობროთ, მისებრივ ობოლათ,  
 კვლავ სიძვარეში ჩემსა დღეებსა  
 გაუტანელსა წუთისა სოფლათ!..  
 მეც ისე მდევნის სასტიკი ხვედრი,  
 როგორც ნიაკი დევნის იმასა;  
 და მდევნის ასე, სანამ სიკვდილი  
 არ მოადგება ჩემ ქონის კარსა!..  
 სანამ არ მოსვობს ჩემსა სიცოცხლეს,  
 სანამ ამ ქვეყნით არ გამაშვებს,  
 სანამ გული მტერს ტანჯულსა მკერდში,  
 სანამ სამარეს ამომათვარებს!..

ბ. გოგოლაძე.

მგზავრის შენიშვნები

(ქ. მიუხსენი. \*)

მგზავრი. გათხოვება აქაურ ქალზე რაღაც თილი-  
 მბასავით მოქმედობს. როგორც კი ქარს შერათავს

და საკუთარ ოჯახს გაიჩენს, მას მერვე ველარ იც-  
 ნობთ, ის წინანდელი მიუხსენელი ქალი აღარაა.  
 ოჯახური ცხოვრება მთლათ ცვლის მის გარეგნობას.  
 წინანდელი ცქრიალა, მუდამ მზიარული, მუდამ მო-  
 ცინარი, ხუმარა, ლამაზი, ეშხით საესე, ახლა რაღაც  
 ნაირ დადამბლავებულს ემსგავსება, წინანდელი საც-  
 ქვითე-სიმარღე ეკარგება, სახე სინაზეს ჰკარგავს, ქა-  
 ლიშვილური უდარდელიობა ჰქრება; ტანი უმსხვილ-  
 დება და სულ ქონათ იქცევა. წერწეტი წელი, რო-  
 მელიც წინეთ ერთ ხელში დაეტეოდა, ახლა უზარ-  
 მაზარ კარსეტშიაც აღარ ეტევა. გაუთხოვარი ქალის  
 ტანი სულ ალვის ხესავით ზევით და ზევით მილიო-  
 და, იზრდებოდა, სიმაღლე ემატებოდა; ახლა კი გა-  
 თხოვდა თუ არა, სხეულის ზრდა შეჩერდა; მის სხე-  
 ულს სიმაღლის მაგივრათ ახლა სიმსხო, განი ემატე-  
 ბა. ერთი სიტყვით ლამაზი ქალიშვილი გათხოვებას  
 შემდეგ მეტათ უშნო და ულახათა ხდება. როცა  
 აქ ჩამრგვალეებულ-ჩასუქებულ ქალს ხედავთ, იცო-  
 დეთ ის ქმარ-შვილიანი ქალია.

ეს გარეგნობით. მაგრამ გათხოვება ცვლის აგ-  
 რეთვე ქალის ყოფა-ქცევას, ხასიათს, ბუნებას. ის  
 წინანდულათ თავისუფალი სიყვარულის მიმდევარ-  
 ი აღარაა; დადინჯდა, დადარბაისლდა, ახალ-გა-  
 ზდური გულის ცელქობა დამწეიდა. მიდას ქუჩა-  
 ში ქმრიანი ქალი, მას წინ ვინმე ახალგაზდა შემოე-  
 ფეთა, გაცნობას თხოვს, სიყვარულს უცხადებს. როცა  
 გაუთხოვარი იყო, ქალი ამას სიხარულით იღებდა,  
 უარზე არ იდგა, მაგრამ ახლა კი დრო შეიცვალა:  
 „მე ქმარი მყავსო“, ეუბნება ის ქუჩის დონ-ჭუანს  
 და ისიც აღარ უხირდება, მაშინვე თავს ანებებს,  
 შორდება.

„ქმარი მყავსო“, ამბობს აქაური ქალი და ამით  
 თავის ქმარ-შვილის მიმართ მოვალეობას გამოთქვამს;  
 ეს მოვალეობა არის ქმრის ერთგულება, შეიღების  
 მოვლა. ოჯახში დიასახლისობა. საკვირველია სწორეთ  
 ასეთი გარდაქმნა! ქალი, რომელიც ქალიშვილობაში  
 სიყვარულს კაბასავით იცვლიდა, ახლა ქმრის ერთ-  
 გული ხდება. კანონიც ძალიან ყურადღებას აქცევს  
 ასეთ ერთგულებას. ქალიშვილი ქალის შეყვარება  
 არაფერ სახიფათოს არ წარმოადგენს, მაგრამ თუ  
 ქმრიანი ქალთან ეშმაკს აპყვეით, ყოველ დღე  
 ცინეს უნდა ელოდეთ. თუ ქმარმა გაიგო და  
 საჩივარი დაიწყო, უეჭველათ ცინე არ აკცდებათ.

რასაკვირველია, აქ იშვიათი არაა ცოლ-ქმრული  
 მოვალეობის დარღვევა, დალატი, მაგრამ გაუთხოვარ  
 ქალთა ყოფა-ქცევასთან შედარებით ეს არაფერია.  
 ამასთან ჩვენ ვლავარაკობთ საერთო ხასიათზე და არა  
 კერძო მოვლენებზე.

საერთო ხასიათი „აქაური“ გათხოვილი ქალისა

\*) ის. „გველი“ № 28.

ის არის, რომ მას ქმარ-შვილის მიმართ მოვალეობა ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი. ქმრის წინ გრძნობს თავს მოვალეთ, როგორც ცოლი, შეუღლებ, ოჯახს დიასახლისი; შვილების მიმართ — როგორც დედა, მათი მომვლელ-ალმშრდელი.

პირველათ იგი მოჯახნე ქალია და, უნდა ვთქვათ, შეუღლებელი მოჯახნეც. დღის ოთხ საათზე ზაფხულში, 6 საათზე ზამთარში ის უკვე ზეზეა, მას აღარ ძინავს და ოჯახის საქმეებს ჰკიდებს ხელს. პირველი საქმე, რომელსაც ის იწყებს, ოთახების დალაგებაა. იატაკს რეცხს, ფანჯრებს ასუფთავებს, სტოლს, სკამებს ჩეარს გადაუსვამს, მტვერს მოაშორებს, ხალიჩებს დაბერტყს, დაასუფთავებს, ლოგინებს გაასწორებს. ყველაფერს, რაც კი მის სახლშია, შესანიშნავი სისუფთავე ატყვია. ერთ ცოცქნა მტვერს ვერსად და ვერაფერზე ვერ ნახავთ. შეღიხართ სახლში, — კიბეზევე შეატყობთ, რომ აქ ხალხი სწომინდ-სისუფთავეზე ზრუნავს. კიბე კრიალებს ესე სუფთაა. ეს იმიტომ, რომ ამას დიასახლისის ხელი მოხვდა, იმან გაასუფთავა. ყველა სახლში კიბე ყოველ დღე ჩერებით ირეცხება. ჩვეულებრივ თითოეულ საშუალო ოჯახს ოთხიოდე ოთახი უჭირავს. ამას გერმანულათ Wohnnung (ბინა) ჰქვია. ოთახები დიდები არაა, ასე რომ ოჯახს ფართო ბინა ანუ, როგორც გურიაში იტყვიან, ამგავანი არა აქვს. მაგრამ შებრძნლით შიგ და ნახავთ, რომ გერმანელი ქალისთვის ეს დაბრკოლებას არ შეადგენს, ბევრ ნივთებს პატარა ალაგზე დაატეხს და წესიერათ, გემოვნებით. ჩააბრეთ ეს ოჯახი ერთი კვირის ვადით ქართველ ქალს და ცხადათ დაინახავთ, თუ რა დიდი განსხვავებაა ამ შემთხვევაში ქართველსა და გერმანელს შუა. მთელი სახლი ნაბურთალს დამსგავსება. შემოიყვანე გერმანელი ქართულ ოჯახში, უეჭველათ იტყვის: აქ ხალხი დღეს გადმოსახლებულა, უთუოთ ახალი ბინაა, ქველა ბარგის გადმოტანა და დალაგება სახლის პატრონებს ვერ მოუხწვრიათო. ტყუილა დაუწყებთ ფიცს: არა, ბატონო, დღეს კი არა, ჩვენი მამა-პაპებიც აქ, ამ სახლში, დაიბოცენ, ბარგაც, რაც ღეთის და თქვენი წყალობა გვაქვს, ყველა აქ თქვენ თვალწინ აწყვილა, — ის მაინც არ დაიჯერებს...

არ დაიჯერებს იმიტომ, რომ ის თავის სახლში არც ჩვენებურ არეულობას და არც ჩვენებურ სახლის ღარიბულ მოწყობილობას დაჩვეული არაა. გერმანელის სახლის მოწყობილობა ქართველს უეჭველათ ფუფუნებათ და გადაჭარბებულ სიმდიდრეთ მოეჩვენება. ყოველ სახლში რაც უნდა ღარიბი იყოს მასში მცხოვრები, უეჭველათ არის რამდენიმე შკაფი, მდივანი, სავარძელი, ხვერდ გადაფარებული სტოლები, სკამები, კამადი, კედლის სარკეები, კედ-

ლის საათი, ჩატაკზე ხალჩა გაფენილი, სასტუმრო ოთახში ხშირათ ფორტეპიანო; წერილმან სხედასხე ნივთებს ხომ ნულარ იკითხავთ. კედლები უუქველათ სურათებითა დაშვენებული. ქართველისთვის ყველა ეს სიმდიდრეა, გერმანელისთვის — პირველი მოთხოვნილება. ეს იქიდან წარმოდგება, რომ აქ კულტურა და ადამიანის მოთხოვნილებანი მაღლა დგას, განვითარებულია.

ასე მდიდრულათ მოწყობილია გასაქირავებელი ოთახიც. საზოგადოთ აქ ოთახს უმებელოთ, რომ გინდოდეთ, ვერ იშოვიოთ. როცა კითხულობთ განცხადებას, — ოთახი ქირავდება, ეს იმას ნიშნავს, რომ იქ ყველაფერი მოწყობილობაა. შედარებით ცოტა ფულით, აქ ძალიან კომფორტს ჰპოულობთ. 20 მარკათ (10 მან.) თვეში იქ რაევბთ შევნიერ ოთახს, ნათელს და სრულს; შიგ გაქეთ მდივანი, სამიოდე სავარძელი, ამდენივე სკამი, სამწერლო სტოლი, ფეხ ქვეშ ხალიჩა, კიდევ ორიოდე უბრალო სტოლი, შკაფი ტანსამოსის, წიგნების და ქალაღების დასაწყობი ალაგი, ლამაზათ მოწყობილი პირის საბანი, კედელზე სურათები და საათი, ლოგინი. ყველა ამ ჩამოთვლილ ნივთებზე უფრო შესანიშნავი ეს ლოგინია, ამას გერმანული მაღლი ახლავს. მომალლო კრაოტზე სამი სქელი ლეიბი აგია, ზედ რა თქმა უნდა, ზეწარი, სამი დიდი და რბილი ბალიში, ყველა ამას ჰფარავს ერთი თხელი საბანი. საბანს ქვემოდან ზეწარი აქვს გამოკრული და წვერები საბნის პირზე ფოლაქებით დამაგრებული. ამას გასარეცხათ ააძრობენ და სხვას გადააფარებენ. საბანს ზევით არის გაზენიული უშველებელი ბუმბული და ზევით თეთრი საზაფხულო საბანი. მთელი ლოგინი ერთი საყენის სიმალღეა. როცა დაძინებას აპირებთ, უნდა ახობდეთ ზედ და ჩაცურდეთ ბუმბულ ქვეშ. გაცივებს ნულარ გეშინიათ. ოთახში რომ ყინვა იყოს, თქვენ მაინც აბანოში გეგონებათ თავი.

მდგმურის ოთახსაც ისე წმენდს, ასუფთავებს და ალაგებს დიასახლისი, როგორც თავის საკუთარ საცხოვრებელ ოთახებს. დილით, როცა თქვენ საქმეზე მიდინართ, შემოდის ის და არეულ-დარეულ ოთახს, პირდაბანილ პატარძალს დაამსგავსებს. უსუფთაობა და დაულაგებლობა სახლში მას ყველაფერზე უფრო ეჯავრება. „მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, — მებუნება ერთხელ დიასახლისი: რა სიამოვნებას ჰპოვებთ ხოლმე ამ წიგნების და ქალაღების ასე საშინლათ არეულ-დარევაში? დილას თავის ალაგას ეაწყობ, საღამოს რომ შემოვდივარ, ისევე არეული მხედება, მაშინაც ვალაგებ, მარა დილით მაინც ზოგი სტოლზე ჰყრია, ზოგი მდივანზე, სკამებზე და იატაკზეო...“

— „მიიტომ რომ პატრიოტი ვარ მეთქი“, მი-  
ვუგე. ვერ მიხვდა და მეც, რასაკვირველია, აღარ  
აეუხსენი...

ამგვართ მიუხედავად ქალი მუდამ მუშაობს  
ოჯახში და თავის კარ-მიდამოს სილამაზის და სიკე-  
კლუტის ფერს ადებს. მან იცის, რა იმუშაოს, რა  
დროს რა გააკეთოს; სამუშაო დაწყობილი და დროის  
შესაფერათ აქვს განაწილებული. დილით აღრიანათ  
სახლი მას უკვე დალაგებული აქვს. შემდეგ ბავშვები  
გაიღვიძებენ და ისიც მათზე ზრუნვას და მოვლას  
იწყებს.

საზოგადოთ გერმანელი ქალის მუყაითობა შეი-  
ლების მოვლაში ყველგან სამაგალითოთაა მიჩნეული,  
მხოლოდ მოვლაც არის და მოვლაც. როცა დედა  
შვილის ყოველ ატირებაზე ჰკანკალებს, ათასი ავთ-  
მყოფობა, სენი და მოარული ეჩვენება, ექიმებს და  
წამლებს ეძებს, ამასაც მოვლა ჰქვია. ან როცა დე-  
და ბავშვის ყოველ ჭინს ასრულებს, ხან კონფეტებს  
ჩრის პირში და ხან გოზინაყს, ამასაც ვითომ მოვლა  
ჰქვია, დედობრივი ზრუნვა. მიუხედავად ქალის ზრუ-  
ნვა შეილებზე სულ სხვა ნაირია. ის იშვიათათ ეძებს  
ექიმებს, იშვიათათ ჰყვება ბავშვის ჭინსაც. ის აძლევს  
შვილს საჭმელს, გაჰყავს წმინდა ჰაერზე, ასვირნებს,  
დროით აძინებს, ყველაფერში ზომიერებას იცავს და  
შვილიც იზრდება მდვივით. ყოველთვის, როცა და-  
რი ხელს უწყობს, განსაკუთრებით ზაფხულში, ბაღე-  
ბი და ქუჩები ავსებულია ბავშვების პატარა ეტლე-  
ბით. ამ ეტლებით ატარებს სუფთა ჰაერზე დედა თა-  
ვის ძუძუმწოვარა შვილს. ბავში წევს ეტლში, პირ-  
ში რძის საწოვი რეზინა უჭირავს და ლოკავს ზანტათ.  
ბოთლში ხშირათ რძის მაგიერათ ლუდია ჩასხმული...  
გერმანელებს ტყვილა კი არ უწოდა ფრანგმა „ძენ-  
ვის მელაპველები და ლუდის მწოველები“!... ერთი  
წლის ბავშს სხვაგან ლუდი აწყენს, რასაკვირველია,  
მაგრამ აქ, როგორც ეტყობა, ძალიან უხდება, რად-  
გან აქაური ბავში ყველა დათვივით გასუქებულია.  
ჩვეულებრივი საჭმელი ბავშვისთვის რძე და პუ-  
რია. მიუხედავად, როგორც საზოგადოთ გერმანიაში,  
რძე ძალიან იაფია. ლიტრა ღირს 18—20 ჰფენინგი  
ანუ 9—10 კაპეიკი. ეს აქაურ ლუდზეც კი უფრო  
იეფია.—შვილებს მშობლები ნამეტან ლმობიერათ  
და სიყვარულით არ ექცევიან, მაგრამ არც სასტიკათ.  
ჩვენებური ცემა-ტყევა ბავშვისა აქ იშვიათია. იშ-  
ვიათია აგრეთვე ბავშვის გადამლაშებული ღიოკვა-  
ლონაც.

ბავში პატარაობიდანვე ეჩვენება ცხოვრებას, კარ-  
ში გასვლას, ხალხის გაცნობას, სხვა და სხვა წერი-  
ლმან, პრაქტიკულ, ცხოვრებაში გამოსადეგ, საქმეების  
გაგებას. 7—8 წლის ბავში თუ უნდა, მთელ ქალაქს

დაირბენს და რაც საყიდელი აქვს, თავის თავათ იყი-  
დის. ხშირათ დედა პატარა შვილს გზაგანის ბაზარში  
სხვა და სხვა ნივთების საყიდლოთ. მას არაფერ არ  
მოატყუებს და რომც მოტყუება მოინდომოს ვინმემ,  
ის თავს არ მოატყუებინებს. 8 წლის ბავში აქ ან-  
გარიში აღარ შეცდება.

ფ. პატრიშვილი.

(შექმდეგი იქნება)

ეს ძველი ფულია.

(გუქღვნი სილაგანს)


I.



ვიოდგომის ცივი დღეები  
იყო. ნოემბრის პირველი  
რიცხვიდანვე უცებ შეიც-  
ვალა ჰაერი. ცა მოკუმშუ-  
ლიყო. შავ-შავი ღრუბ-  
ლები ვეშაპებივით გარბო-  
და ცის სივრცეში. გამძვი-  
ნვარებულ ქარს ზუილ-  
ზუილი გაჰქონდა სახლე-  
ბის ქუჭრუტანებში და გა-  
ყვითლებულს კი არა ჯერ  
ისევ მწვანე-მწვანე ფოთლე-  
ბსაც აცილებდა ბეჩავ ხე-  
ებს და დიდროვან გროვებს  
აყენებდა ღობეების ძირათ.

—ოკრიბის ზოგ-ზოგი მთის  
ოღრო-ჩოღრო გზები ისე ატალახიანებული იყო სი-  
მინდის და ჩალის მზიდავი ურმებისაგან, რომ კარგ  
ბედაურსაც გაუჭირდებოდა ტალახიდან ფეხის ამო-  
გლეჯა.—სიმინდით და ჩალით დატვირთული ურ-  
მები ახლა არსად ჩანდა, რადგან საყოველთაოთ  
ოკრიბაში რთველის მაწვევა შუა ოქტომბრამდე თავ-  
დება, და ამ წელში კი კიდევაც დაესწოროთ ამ რიც-  
ხვისთვის, რაკი ცუდ ტაროსს ხედავენ. ახლა მხო-  
ლოდ აქა იქ შეშინი ურმების ჭრიჭინი ისმოდა.

შაბათი საღამო იყო. დილიდანვე საამო ტა-  
როსი იდგა. აღარც ქარი ჰქროდა, ღრუბლებიც  
ცის განაპირებისკენ გაქცეულიყო და სითბო მოკლე-  
ბულ მხეს თვალები გამოექყიტა—რა არის და, ერთ-  
ხანს მანც კიდევ დავატბო ქვეყნიერება ჩემი მხერით,  
ვინემ ზამთრის სუსხი მოუწყვედისო.



ოკრიბის ერთ სოფელში, რომელიც, ხალხის გადმოცემით, ძველათ — ბუების სამშობლოთ ითვლებოდა თურმე, რის გამოთაც ამ სოფლისათვის ბუეთი დაურქმევიათ, ერთ პატარა სახლის აივანში, კედელზე მიდგმულ მოკლე სკამ-ლოგინზე იჯდა ერთი ჯან სალი ქალი, მისი ლერწამივით სუფთა ტანადობა, მრგვალი, ლამაზი, ოდნავ შეეგვრეპანი პირისასხე, ყარყარა კისერი, მაზე პატარა თავი, რომლიდანაც ბეჭებზე ორი დიდი შავი ნაწნავი გადაეყარა, მალალი წარბები და დიდრონი შეე-შავი თვალები აშკარათ ამტკიცებდნ რომ მათი პატრონი ძლიერ ემზიანი და კახტა იქნებოდა სიქალიშვილენში.

ამ სალამოს მას იაფ ფასიანი, მაგრამ სუფთა წითლიანი ჩითის ქვედა წელი კაბა ეცვა; ზევით კი თეთრი მიტკლის „გალიბარდი“. თავიც თეთრივე ცხვირსახოციით წაეკრა აფხაზურათ, მუხლზე რაღაც საკერავი დაედვა და სისწრაფით ჰკერავდა, რომ უქმის ძალმა არ მომისწროსო.

იქვე მისსავე თვალ წინ ორი-სამი წლის ფუნთურუშა გოგონას მიწაზე ფეხი მოგროთხა და აივანშივე მწოლ ბანჯგელიან ძაღლს ეთამაშებოდა. ძაღლიც, როგორც ჰკვიანი პირუტყვი, თანაუგრძნობდა თავის ცელქ მწვალბებელს და სრულიადაც არ ჯავრობდა, როცა ბავში ხან ყურში, ხან კულში და ხან ცხვირში წააეღებდა პაწაწა ხელებს და რაც ძალა ჰქონდა წევას დაუწყებდა. ხანდახან მხოლოთ, ვითომ სამაგიეროთ, ძაღლი გადადებდა მას კისერზე ფეხს და მაწაზე გააკოტრიანებდა, მაგრამ ბავში მაშინ მეტ მზიარულებასაც გრძნობდა და ხით-ხითს უმატებდა.

— კაია, დედა! ნუ აწვალე „მულიკას“ თვარა მერე გაჯავრდება და „გიკინავს“, უთარა დედამ შეილს ენის მოქცევით: — მოდი „ჩეთა“, აბა ენახო რავა „დაგვენდება“ ე წიწიე კაბა. ხეალ გამოგაწყობ და წირავზე წაგეყვან, თუ ღმერთმა ბაბიკონე მშვიდობით მოგეყვანა. განაგრძო ქალმა და თა ახალი შეკერილი კაბის ზმანება დაუწყო შეილს.

II.

„ბაბიკონე“, რომლის მშვიდობით მოსელასაც ღმერთს თხოვდა ეს ქალი, — ბერუა ენებიშვილი პატროსანი გლეხი იყო. მთელს ოკრიბაში არ მაიპოებოდა იმისთანა მშვიდობიანი, მართალი და შრომის მოყვარე კაცი. არავის ახსოვდა იმისგან წყენა არც საქმით და არც სიტყვით. ერთხელაც არავის უნაბავს ის სოფლის სასამართლოში არც მოპასუხეთ და არც მომჩიენათ, თუ იშვიათათ რადისმე მოხდებოდა, რომ მას სოფლის მსაჯულები დაიბარებდნ, მაშინაც ძლიერ შეწუხდებოდა, თუქცა წინათვე იცოდა, რომ მას ვისიმე მოწ-

მობის მეტი არაფერი შეეხებოდა; მაგრამ ამასაც უნებნდა, წუხდა იმისთვის რომ მუშა დღის გაცდენა უძნელდებოდა.

— დალახვროს ღმერთმა ეშმაკი! რალა მე დაუსახელებივართ მოწმეთ! ჩემთვის ერთი მუშა დღე ხუთ მანეთათ ღირს და დღეს კი სალამომდის „კანცელარიაზე“ უნდა ვიყურყუტოვო. იტყოდა ის, როდესაც სოფლის მოხელე დაუძახებდა: — ბერუა, დღეს „სუდიელები“ გიბარებენო.

— გაცდენა ხომ გაცდენაა, განაგრძობდა ბერუა ბუტბუტს თავისთვის ყოველ ამ გვარ მემთხვევაში — გაცდენას კიდეე არ ეიდარდებ, მარა ის უფრო მაწუხებს, რომ ჩემი მოწმობა ერთ-ერთ იმათგანს გაამართლებს, და გამტყუენებული მხარე ხომ მაინც დამემდურებო.

ამასთანავე ბერუას ყველაზე უფრო ფიცისა ერიდებოდა:

— „ხატი დასევენ და ზარი დაბიო“ მოიგონებდა ის ხალხის თქმულებას, ფიცის შესახებ: ღმერთთა მოწამე, რაც ვიცი დაუფიცებლათაც სისწორით ვიტყვი, მარა ვაი თუ რომელიმე მხარე დაუფიცებლათ არც კი მენდოსო. მარა ეს ფიქრი ექვათ თუ დებადებოდა მას თვარა, დაფიცებით ის არასოდეს არ დაუფიცებიათ. რაც უნდა მძიმე საქმეზე ყოფილიყო მოწმეთ, მომჩიენიც და მოპასუხეც ამას ამბობდა: — ბერუას დაუფიცებლათაც ვენდობით, ფიცი რა საქიროა მავისთანა პატიოსანი კაცისათვისო.

ბერუა თუმცა მდიდარი არ იყო, მარა თავის სიღარიბით არც არავის აწუხებდა და კიდეეც მეტი პატივი და სიყვარული ჰქონდა დამსახურებული თავის სოფელში, ვინემ მდიდრებს, რომლებსაც ხალხი — რაღაც ინსტიქტის ძალით — მორიდებით და პატივით ექცევა. — პატიოსნებაც სიმდიდრეაო. — ამბობდნ გლეხები. — აგერ ჩენი ბერუა ღარიბია, მარა ისეთი ნდობა აქვს, რომ მოინდომოს, ამაღამ ორას მანეთს იშოვის უთამასუქოთ. — იტყოდნ ხოლმე ბერუას მეზობლები.

III.

ზემოხსენებულ შაბათ სალამოს, პელუა რომ თავის პატარა ქალს ეუბნებოდა „თუ ღმერთმა მშვიდობით მოგეყვანა ბაბიკონეო“, ტყვილათ კი არ ეუბნებოდა; იმას გულმა უგრძნო, რომ კარგი ამბავი არ მოელოდა. ამიტომაც გულის ფანცქალით ელოდა საყვარელი კაცის მოსელას.

დალამების ხანს კიშკარი გაიღო და ეზოში პატარა მთის ურემი შემოგოგდა, რომელსაც ორი კაცი მოჰყვებოდა. ქალმა ეს კაცები მაშინვე იცნო: ერთი იმათი მეზობელი კვირია იყო, რომელსაც ხარ-

ურემი ვკუთვნოდა, მეორე კი — ბერუას ბიძა — ლომ-  
კაცა გულენანძე. ურემზე საბნებში რაღაც იყო შეხ-  
ვეულა.

პელუამ რომ ეს დაინახა, ერთი კი იკივლა და  
გონება დაჰკარგა.

— ნუ გეშინია ქალო! ჩამოვსმა ბურანში წა-  
სულ პელუას ვილასი მწუხარე ხმა: მე არა მიშავს  
რა, ლეთით არ მოგვედე მგონია.

პელუას ეს ხმა ჯერ მოჩვენება ეგონა, რადგან  
ბერუას უკვე მკედრათ რაცხდა და მისი ხმა კი ეს-  
მოდა; მაგრამ როდესაც ეს საყვარელი ნაცნობი ხმა  
კიდევ რამდენჯერმე მოესმა, ქალი მოსულიერდა,  
თვალები გაახილა და მისი საყვარელი კაცი ტახტზე  
მწოლარე რომ დაინახა, თითონაც იმავე წამს ტახტ-  
თან გაჩნდა.

— რა ამბავია, ბატონო, ჩემ თავზე? დაეკითხა  
აკანკალებული ხმით პელუა იქვე მახლობლათ მჯდომ  
ლომკაცს.

— მშვიდობა... ნუ გეშინია, არა უშავს რა.  
ცოტა გაციებულია, მარა ღმერთი მოწყალეა!..

— გაციებულია!! გაიმეორა სასოწარკვეთილე-  
ბით ლომკაცს სიტყვა უბედურმა ქალმა და მწარე  
ქვითინი მორთო.

IV

ტირის ბედკრული ქალი და სატირელიც აქვს:  
რომ ღმერთი გაწყრეს და ბერუას რაიმე დაეპართოს,  
პელუა სრულიად უპატრონოთ დარჩება. იმას დღე-  
მამის ალერსი პატარაობისასაც არ ახსოვს, მაგრამ  
მაშინ ერთი მოსიყვარულე მზრუნველი მანც ჰყავ-  
და. ეს მზრუნველი, — ბერუას მეზობელი ქერივი ქა-  
ლი — მარიკა პელუას დედა იყო, რომელმაც დრო-  
ბლებული, უპატრონო დისწული შეილივით გაზარ-  
და და ბერუას მიათხოვა.

ბერუა თითონ ობოლი, ღარიბი კაცის შვილი  
იყო, მარა ბავშობიდანვე ისეთი შრომის მოყვარე-  
ობა და მუყაითობა გამოიჩინა მუშაობაში, რომ ობ-  
ლობას არ იმჩინებდა. მართალია, მამის სიკვდილს  
შემდეგ ერთი ქცევა ეზოსი და ერთი პატარა სახლის  
მეტი მას საკუთრება, სამემკვიდრო არაფერი დარჩე-  
ნია, მაგრამ მუშხედავით ამისა იმას მანც თავის შრო-  
მით და მეცადინეობით თავის დროზე პურ-ღვინოც  
საკმაო ჰქონდა და კობხა ჩაცმულ დახურულიც გა-  
მოდოდა. ეს მათ უმეტეს, რომ მას ერთი მოხუ-  
ცებული დედის მეტი სახლში სარჩენი არაფერ ჰყავდა.

მარიკას ძლიერ მოწონდა ბერუა: — მართალია  
ღარიბი კაცია, მარა მშრომელი და პატიოსანი, მარ-  
ტონელი ოჯახის პატრონი ბიჭია და ქალს გარვით  
შეინახავსო.

როდესაც ბერუას მოხუცებული დედა გადაეც-  
ვალა და სრულიად მარტონელათ დარჩა, მარიკამ  
პირდაპირ უთხრა მას: შეილო! ხომ იცი, უქალო  
ოჯახი არ ვარგა; შენ უსათუოთ ცოლი უნდა შეი-

რთო და, რადგან მე შეილივით მიყვარხარ, თუ შენ  
გწონს, ჩემ დისწულს მოგათხოვებო.

ბერუასაც ეს უნდოდა. მოწონდა კი არა, თი-  
თქმის უყვარდა კიდევ პელუა. ის ამ ქვამათ თოთხ-  
მეტ-თუთხმეტი წლისა იყო და მეტათ ლამაზი და  
ეშხიანი შესახედავი. ამასთანავე ისიც უნდა ეთქვათ,  
რომ ბერუა და პელუა, როგორც მახლობელი მე-  
ზობლები, ბავშობიდანვე ერთათ შეზდილნი იყვენ  
და ერთმანეთის ზნე და ხასიათი ყოველივე დაწერი-  
ლებით იცოდნენ.

— მე დიდის კმაყოფილებით დავიჯერებ შენ  
სიტყვას, წაიბუტბუტა მორცხვით ბერუამ, — თუ კი ის  
თანახმა იქნება.

— ეგ ჩემი საქმეა, შეილო, უპასუხა მარიკამ.  
V.

ბერუა „ოჯახობის“ პატრონი კაცია. დღეს-ხვალ  
მისი საყვარელი პელუა ლოგინათ დაწევა და მალე,  
ერთი უზნეო, მარა უმანკო სარჩენი ბატონი კიდევ  
შემოვა მის სახლში. ცოლ-შვილის პატრონი კაცს,  
რასაკვირველია, მეტი მოთხოვნილება აქვს ვინემ  
თავისუფალს, ამიტომაც ახლა ბერუას ორი იმდენი  
შრომაც ვერ უშველის, რასაც წინეთ ეწეოდა. ის  
თავიდანვე მშრომელი იყო, ახლა კი გარემოებამ,  
ცოლ-შვილის სიყვარულმა და მათი დამშვევის შიშ-  
მა ერთი ორათ აქცია მისი მუყაითობა. დღე და  
ღამ მისი ხელი შეუჩერებლათ მოქმედობდა ფულისა  
და ლუკმა პურის საშოვნელათ: ხან დღითერთ ქი-  
რავდებოდა, ხან თვითერთ; ხან რომელსამე „ჩინოვ-  
ნიკს“ დასდევდა ბარგის საზიდავით. ერთი სიტყვით  
თავს არ იზოგავდა, ოღონდ როგორმე სიღარიბისა-  
გან თავი დაეღწია და საქმე ისე მოეწყოა, რომ მუ-  
ღამ ასე სხვისი ხელის შემყურე არ ყოფილიყო.

ამ ხანებში ტყიბულის რკინის გზის ლიანდაგის  
მუშაობაც დაიწეეს. ამ საქმემ ხომ სულ გააფოლადა  
ბერუა. ის ახლა სულ დღითერთ მუშათ გაეკრა ამ გზა-  
ზე და კიდევაც ორ წელს შემდეგ კარგა გაიმავრა  
წელი: ასე რომ ხარებიც იყიდა, ძროხაც და თავისი  
პატარა სახლიც რიკიანათ შეაკეთა, თან ფულათაც  
იმდენი დარჩა, რომ ოთხი-ხუთი ქცევა მიწის ყიდ-  
ვაც შეეძლო. მაგრამ ბერუა ფიქრობდა:

— ცოტას კიდევ გავიჭირებ; რაც მაქვს იმას  
ცოტას კიდევ მიუშობებ და, როცა ვიყიდი მიწას  
ისე ვიყიდი, რომ საზრდო საკუთრებაში მომივიდეს  
და სხვისი ადგილების მუშაობა აღარ დამჭირდესო.

მხოლოდ ამ უკანასკნელი გადაწყვეტილების  
სისრულეში მოყვანას ვერ მოესწრო უბედური.

სოფლის კაცია.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლის.